სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/48

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის, შალვა ლომიძის 2023 წლის 25 ივლისის წერილის №4730 და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №71-ში, სტუ-ის მე-7 სასწავლო კორპუსის შენობის მესამე სართულზე არსებული 556.17 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.10.13.040.003.01.01.526) საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის უვადოდ თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ და სანაცვლოდ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ქ. თბილისი,

პოლიტკოვსკაიას ქუჩა №6, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების 482.00 კვ.მ. ფართის (ს/კ 01.14.05.008.002.01.509) უვადოდ სარგებლობის უფლებით მიღების შესახებ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**